

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 240 კრედიტი (ECTS), მათ შორის:

❖ საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	-	72
❖ ძირითადი (Major) სპეციალობის სავალდებულო კურსები	-	69
❖ ძირითადი (Major) სპეციალობის არჩევითი მოდულები	-	30
❖ თავისუფალი კურსები	-	9
❖ დამატებითი (Minor) პროგრამა	-	60

ხანგრძლივობა – 8 სემესტრი, სემესტრში – 30 კრედიტი.

4. სწავლების ენა - ქართული

5. პროგრამის კოორდინატორი

- დავით ჯალაღონია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

საბაკალავრო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელები:

- პროფესორი დავით ჯალაღონია (მოდული - ბუღალტრული აღრიცხვა)
- პროფესორი გიორგი ბერულავა (მოდული - მარკეტინგი)
- პროფესორი ზურაბ ლიპარტია (მოდული - ფინანსები)
- პროფესორი ლარისა თავალანძე (მოდული - მენეჯმენტი)

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები დაიშვებიან უგამოცდოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება მათემატიკაში.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს ბიზნეს-ორგანიზაციების მართვის სფეროში. მუდმივად ცვალებადი ბიზნესგარემოს პირობებში ბიზნეს-ერთეულების ეფექტური მართვის გარეშე შეუძლებელი ხდება წარმატების მიღწევა და ხანგრძლივი პერიოდით დამკვიდრება ბაზარზე. ძლიერი კონკურენციის პირობებში საჭირო ხდება მართვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი გამოწვევების შესაბამისი თეორიული ცოდნის მიღება და მისი შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ამასთან, სამეწარმეო საქმიანობაში ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იქნას საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების განუხრელი დაკმაყოფილებისაკენ. სწორედ, აღნიშნული მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზაციას უწყობს ხელს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, რომლის მიზანი უშუალოდ გამომდინარეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან. ესაა კაცობრიობის მთავარი

ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების, შედეგზე ორიენტირებული ჰუმანური, მაღალი ეთიკური ქცევისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პროფესიის ჩამოყალიბება, რომლის პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის დონე, სწრაფცვალებადი ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, იქნება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი. ამასთან, პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დისციპლინების ათვისების შედეგად სტუდენტებმა უნდა მიიღონ თეორიული ცოდნა და გამოიმუშაონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევები ბიზნესის განხორციელებისათვის საჭირო ისეთ სფეროებში, როგორცაა: საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ფინანსები. ამისათვის კი აუცილებელია კონკრეტული ცოდნის მიღება და პრაქტიკული უნარების გამოიმუშავება აღნიშნული სფეროს ისეთ მოდულებში, როგორცაა: ბიზნესის მართვის თეორიული და ორგანიზაციული საფუძვლები, მენეჯმენტის მართვის სტრატეგიები, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, ოპერატიული და სტრატეგიული მართვა, მარკეტინგი და გაყიდვები, ფინანსები, ადამიანური რესურსების მართვა, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი ინსტრუმენტების შესწავლა, და ზოგადად, ბიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზების საფუძვლების ფართო გაცნობა. ამასთან ერთად, აუცილებელია ისეთი ცოდნისა და უნარების გამოიმუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე მოთხოვნებთან სპეციალისტის უმტკივნეულო ადაპტირებას და სტუდენტის წინსვლას ბიზნესის მიმართულებით პროფესიულ კარიერულ საფეხურზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ეფექტური რეალიზაციის საერთო მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პროგრამის ფარგლებში გამოიყოს შემდეგი მოდულები (კონცენტრაციები): **საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები.**

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის მიზანი: საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის მიზანს, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის საერთო მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სისტემატიზაცია და მოწესრიგებული ასახვა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის დოკუმენტებში. ასეთი ინფორმაციის დამუშავებას საფუძვლად უდევს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კონცეფციები და საქართველოში აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. სწავლების ამ დონეზე მიღებული თეორიული ცოდნით და გამოიმუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საწარმოს ფინანსური ინფორმაციის ანალიზსა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში.

მარკეტინგის მოდულის მიზანი: მარკეტინგის მოდულის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, სტუდენტს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის მართვაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზისათვის, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისათვის საშუალო მენეჯმენტის დონეზე. ამასთან, მარკეტინგის დარგის შესაბამისი დარგის მთავარ სპეციალისტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს მარეგულირებელი კვლევის დაგეგმვაში და მისი შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტაციაში, ფირმის მარკეტინგული სტრატეგიისა და ტაქტიკის მომზადებაში, ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის კონტროლში.

მენეჯმენტის მოდულის მიზანი: მოდული „მენეჯმენტის“ შექმნის და განვითარების კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ბიზნესის გლობალიზაციის პროცესების ადეკვატური ასახვის აუცილებლობა. მოდულის მიზანია ბიზნესის სხვადასხვა რგოლისათვის კვალიფიციური მმართველობითი საკადრო პოტენციალის შექმნა, ახალი თაობის მმართველობითი კადრების მომზადება, რომელთაც შესწევთ

უნარი ეფექტურად გადაწყვიტონ ბიზნეს-სტრუქტურების ფუნქციონირება-განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური, მატერიალური თუ ადამიანური რესურსების მართვის საკითხები. ამასთან, პროგრამა მიზნად ისახავს სპეციალისტში განვითაროს მეცნიერული აზროვნების აქტუალური საკითხების გამოკვეთის და კვლევის უნარი.

ფინანსების მოდულის მიზანი: ფინანსების მოდულის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში ბაკალავრს მისცეს თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პროფესიონალური უნარ-ჩვევები, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში ფინანსურ, საინვესტიციო და დივიდენდურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამასთან, პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრს განვითაროს მეცნიერული კვლევის უნარი ფინანსური რესურსების მართვის, ფინანსური სისტემის რეგულირებისა და განვითარების პროგნოზირების, კორპორაციული ფინანსების, საბანკო საქმის აქტუალური საკითხების შემეცნების და ფინანსური სტრატეგიების ფორმირებაში

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს პროგრამის კურსკულუმით გათვალისწინებული საგნების გავლის შედეგად აქვს ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი ფარო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. იცის ბიზნესის მართვის ძირითადი კონცეფციები და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები. ამასთან, გამოუმუშავებული აქვს თეორიული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული უნარები. გარკვეულია ბიზნეს-პროცესების მართვასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებში, ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებში. ზოგადად, მეურნე სუბიექტის მენეჯმენტთან დაკავშირებულ პროცესებში. ცოდნის მიღების ამ ეტაპზე სტუდენტი ფლობს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ოპერაციული მენეჯმენტის, ლოჯისტიკის, მარკეტინგისა და გაყიდვების, ფინანსების, საბუღალტრო საქმის, ადამიანური რესურსების მართვის, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითად ინსტრუმენტებს და რაოდენობრივ-სტატისტიკურ მეთოდებს. ზოგადად, ბიზნესის მენეჯმენტთან დაკავშირებული პროცესების ორგანიზების საფუძვლებს. აღნიშნული ინსტრუმენტების დახმარებით და არსებული ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით იგი მონაწილეობს ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავებაში. რაც მთავარია, შეუძლია აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით არსებული კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს ცოდნა, რომელიც სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით აძლევს მას საშუალებას მოახდინოს ბიზნეს საქმიანობაში არსებული პრობლემების გადაჭრა. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით განახორციელოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საქმიანობა. გამოუმუშავებული აქვს ბიზნეს-საქმიანობაში მიმდინარე პროცესების მართვისთვის საჭირო ისეთი ძირითადი უნარები, როგორცაა: პროცესების იდენტიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და ა.შ. ამასთან ერთად, დაინახოს და გამოყოს რისკ-ფაქტორები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ბიზნესის წარმატებულად განხორციელების შესაძლებლობას.

დასკვნის უნარი - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით აქვს უნარი განახორციელოს ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და მათი განმარტება. მოახდინოს ამ მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდის გამოყენებით. არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი, ჩამოაყალიბოს საკითხის დადებითად გადაჭრისათვის დასაბუთებული დასკვნა.

კომუნიკაციის უნარი - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი მოახდინოს ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზის ფორმირება, კვლევითი და ბიზნეს-პროცესების ცალკეული კომპონენტების შემუშავება და დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება. საჭიროების შემთხვევაში კი, ზეპირი განმარტებების გაკეთება ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებზე, როგორც ქართულ და უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე;

სწავლის უნარი - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეაფასოს და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება.

ღირებულებები - საბაკალავრო პროგრამის ღირებულება, ესაა შედეგზე ორიენტირებული ჰუმანური, მაღალი ეთიკური ქცევისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბება, რომლის პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის დონე ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით იქნება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი. ამასთან ერთად, აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსტკულტურულ პასუხისმგებლობას, მონაწილეობს ასეთი ღირებულებების ფორმირებაში და ისწრაფვის მის დასამკვიდრებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების მოდულების (კონცენტრაციების) დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები

I. მოდული (კონცენტრაცია) - საბუღალტრო აღრიცხვა

ცოდნა და გაცნობიერება - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის (კონცენტრაცია) კურსების გავლის შედეგად, სტუდენტს მიღებული და გამომუშავებული აქვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების, მმართველობითი აღრიცხვისა და აუდიტის, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით. შეუძლია აღრიცხვის სფეროში არსებული საკითხების კომპლექსური გააზრება. ფლობს დარგისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიას, ბიზნესის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - საბუღალტრო აღრიცხვის დარგში მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს აქვს გამომუშავებული აღრიცხვასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი უნარები: ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების იდენტიფიკაციის, პირველადი ბუღალტრული დოკუმენტების სისტემატიზაციაში მოიყვანის, დოკუმენტებში ასახული მონაცემების ანალიზის. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების შესაბამისად, შეუძლია პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს ფინანსური ანგარიშგების (ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიშგება, საკუთარ კაპიტალში განხორციელებული ცვლილებების ანგარიშგება, ფულადი ნაკადების მოძრაობის

ანგარიშგება) მომზადებასა და შედგენაში. სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენოს სფეროსთვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდი.

დასკვნის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, საბუღალტრო აღრიცხვის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნის საფუძველზე ბაკალავრს აქვს უნარი სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვებისა და ცალკეული განმარტებების გაკეთებისა. ასევე, განყენებული მონაცემებისა და სიტუაციური ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა.

კომუნიკაციის უნარი - თანამედროვე ბიზნეს-საქმიანობაში, ბუღალტრული აღრიცხვა ითვლება „ბიზნესის ენად“. შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, საბუღალტრო აღრიცხვის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრი ამყარებს კომუნიკაციას ბიზნეს წრეებთან როგორც ქართულ, ასევე უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე. მას შეუძლია აღრიცხვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება.

სწავლის უნარი - სტუდენტს, საბუღალტრო აღრიცხვის მოდულში (კონცენტრაცია) გაწერილი დისციპლინების ფარგლებში აქვს უნარი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი. ამასთან ერთად, შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

ღირებულებები - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, საბუღალტრო აღრიცხვის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს ჩამოყალიბებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეთიკური და მორალური ნორმები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებას. ამასთან ერთად, აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.

II. მოდული (კონცენტრაცია) - მარკეტინგი

ცოდნა და გაცნობიერება - მარკეტინგის მოდულში შეტანილი კურსების გავლის შემდეგ, სტუდენტს აქვს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობის განსაზღვრის, მარკეტინგის სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის, ბაზარზე გავლის მეთოდების გამოყენების, პროდუქციის ბაზარზე დაწინაურების მეთოდების, მომხმარებელთა ქცევის მოტივების ფორმირების თანამედროვე კონცეფციის შექმნის, ბრენდის პოზიციონირების ეფექტური სტრატეგიების წარმოდგენის ფართო მარკეტინგული ცოდნა და უნარები. მიღებული ცოდნა ეფუძნება სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის მარკეტინგის სფეროში მიღებული თეორიული ცოდნით და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით სტუდენტს შეუძლია ამ სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად. ამასთან ერთად, სტუდენტს წინასწარ ცნობილი მეთოდების გამოყენებით შეუძლია კვლევითი ან

პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება. გაცნობიერებული აქვს მარკეტინგული გამოკვლევების დამოუკიდებლად შემუშავების მეთოდიკა, მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის მყიდველობითი ქცევის მოტივაციის გამოცნობა, ფირმის საქმიანობაში ბრენდინგის კონცეფციის პრინციპების გამოყენება, სასაქონლო, საფასო, კომუნიკაციური და გასაღებითი პოლიტიკის გამოყენება და აქედან გამომდინარე, მარკეტინგული ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციისა და გადაწყვეტის მიმართულებების დასახვის საფუძველზე და უახლესი მეთოდების გამოყენებით ფირმის ეფექტური საქმიანობისათვის ხელის შეწყობა.

დასკვნის უნარი – ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა ფირმის საბაზრო მდგომარეობასა და მისი პროდუქციის პოზიციონირებაზე, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს მარკეტინგული სტრატეგიების და ტაქტიკური ღონისძიებების შემუშავებასთან არსებული მონაცემების შეგროვებაში და მათ განმარტებაში.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს აქვს უნარი დაამყაროს კომუნიკაცია თავის კოლეგებთან, კლიენტებთან, შუამავლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებაში, შეუძლია ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავება, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და მათი დაცვა, რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და პრეზენტირება, როგორც ქართულ, ასევე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე.

სწავლის უნარი – ბაკალავრს, მარკეტინგის მოდულის (კონცენტრაცია) გაწერილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია დამოუკიდებლად დაამუშავოს და გაანალიზოს სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურა, კერძოდ, ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფირმის საბაზრო მდგომარეობას, კლიენტებს, შუამავლებს, კონკურენტებს და ა.შ. თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში კი, დაგეგმოს იგი.

ღირებულებები - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მარკეტინგის მოდულში (კონცენტრაცია) სტუდენტს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავებისათვის და ბიზნეს გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება მორალურ-ეთიკური ნორმების დაცვით.

III. მოდული (კონცენტრაცია) - მენეჯმენტი

ცოდნა და გაცნობიერება - მენეჯმენტის მოდულში შეტანილი კურსების გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს ფართო ცოდნას, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის კანონებისა და კანონზომიერებების, ძირითადი მეთოდების, ფუნქციების, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემის კრიტიკულ გააზრებას. შეუძლია ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას და ეკონომიკური, ფინანსური და ორგანიზაციულ-მმართველობითი მოდელების აგება; იცნობს ორგანიზაციული ცვლილებების ეფექტიანი განხორციელების მეთოდებს. აქვს სამეწარმეო საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული მართვის უნარი, იცის

ბიზნეს-ოპერაციების შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება, მენეჯმენტის ეფექტიანობის ფაქტორები. ფლობს სამეცნიერო კოლექტივების, კვლევებისა და დამუშავებების მართვის მეთოდებს, სიახლეთა ბაზარზე მუშაობის, ინოვაციების კომერციალიზაციის საკითხებს; ინფორმაციის ძირითად მახასიათებლებს, როლსა და მნიშვნელობას მენეჯმენტში, საქმიანი ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს; იცის ახალი ორგანიზაციების (საქმიანობის მიმართულებების, პროდუქტების და ა.შ.) შექმნისა და განვითარების ბიზნეს-გეგმების შედგენა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასება, მმართველობით საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ნორმებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - მენეჯმენტის მოდულში შეტანილი კურსების გავლის შემდეგ მიღებული ცოდნით და გამოიმუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია უზრუნველყოს ფირმების მართვის ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავება, მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებით განახორციელოს როგორც მენეჯერის ძირითადი ფუნქციები, ასევე ძირითადი ინტეგრაციული პროცესები: ინფორმაციის გაცვლა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. შეუძლია ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა, საწარმოო რესურსების გონივრული განკარგვა, პროექტების მართვა, გუნდური მუშაობა, კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება, შეუძლია მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ოპერაციებთან გლობალიზაციის პირობებში. მონაწილეობს ტექნოლოგიური და პროდუქტიული ინოვაციების დანერგვაში. მას გააჩნია სტრატეგიული ხედვის უნარ-ჩვევები, რაც ფირმის განვითარების გლობალური სტრატეგიის შემუშავების, აგრეთვე ცალკეული ქვედანაყოფების საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. გააჩნია კონსტრუქციული საქმიანი ურთიერთობის აგების უნარი და პოტენციალი კარიერული ზრდისათვის, როგორც კომპანიის შიგნით, ისე მთლიანად ბაზარზე.

დასკვნის უნარი - დარგში მიღებული ცოდნით და გამოიმუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს, დაამუშავოს და გაანალიზოს ინფორმაცია ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, ცალკეული დასკვნების მომზადებისა და დასაბუთებისათვის; დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, ასევე, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, მენეჯმენტის მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამოიმუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია საქმიანი ურთიერთობის დამყარება კლიენტებთან, შუამავლებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან და მონაწილეობა მიიღოს ბიზნეს-გარიგებებში; შეუძლია საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს-ტერმინოლოგიის გამოყენებით; ინგლისურ ენაზე რთული ტექსტების შინაარსის გადმოცემა და მოცემულ საკითხებზე საქმიანი დისკუსიების წარმართვა ქართულ და უცხოურ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე.

სწავლის უნარი - ბაკალავრს მენეჯმენტის მოდულში (კონცენტრაცია) გაწერილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია გამოიყენოს ყველა არსებული წყარო სწავლის პროცესის თანმიმდევრული და გონივრული წარმართვისათვის, შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

ღირებულებები - საქმიან ურთიერთობებში სტუდენტი ხელმძღვანელობს მაღალი ზნეობრივ-მორალური ნორმებით; გამოირჩევა მაღალი სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობით; გადაწყვეტილების მიღებისას მისი ქმედებები ეფუძნება ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას და მიისწრაფვის ამ ფასეულობების დამკვიდრებაში საზოგადოებაში.

IV. მოდული (კონცენტრაცია) - ფინანსები

ცოდნა და გაცნობიერება - კურსის შესწავლა უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების მოდულში ფინანსების საფუძვლების, საგნის, ობიექტების, მეთოდის და მისი ელემენტების, მთლიანად საწარმოო და ფინანსური სერვისის პროცესთან დაკავშირებული საკითხების ფართო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. ასევე, ფინანსებში არსებული თეორიებისა და ძირითადი პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აქვს უნარი სფეროსათვის დამახასიათებელი საკითხების კომპლექსური გაცნობიერებისა. ამასთან ერთად, კურსდამთავრებული ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას ფინანსების სფეროში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ფინანსების მოდულში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შესწავლით მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სტუდენტი, ამ სფეროსათვის დამახასიათებელი, ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით, ახორციელებს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით განსაზღვრავს საბრუნავი კაპიტალის ელემენტების ოპტიმალურ დონეს; ახორციელებს საინვესტიციო დაბანდებათა შეფასებასა და ბიუჯეტის დაგეგმვას; განსაზღვრავს საწარმოს კაპიტალის რაციონალურ სტრუქტურას; ადგენს ფირმის ოპტიმალურ დივიდენდურ პოლიტიკას; ახორციელებს ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის განვითარების პროგნოზირებასა და ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავებას.

დასკვნის უნარი: ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, ფინანსების მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და მათი განმარტება. აქვს უნარი შეაფასოს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგის მაჩვენებლები და ანალიზის საფუძველზე გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა ბიზნესის განვითარების მიზნით ბიზნეს-გეგმის დამოუკიდებლად ფორმირებისა და მისი პრაქტიკაში განხორციელებაზე მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

კომუნიკაციის უნარი - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, ფინანსების მოდულში (კონცენტრაცია) მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია დაამყაროს კომუნიკაცია ბიზნეს-წრებთან და მონაწილეობა მიიღოს დამატებითი რესურსების მოძიების მიზნით ეფექტიანი გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესებში; აქვს გუნდური მუშაობისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი რგორც ქართულ, ასევე უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენებზე. სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის შესახებ მოამზადოს არგუმენტირებული წერილობითი ანგარიში.

სწავლის უნარი - სტუდენტს, ფინანსების მოდულში (კონცენტრაცია) გაწერილი დისციპლინების ფარგლებში შეუძლია მრავალმხრივად შეაფასოს და თანმიმდევრულად მართოს საკუთარი სწავლის პროცესი. საჭიროების შემთხვევაში კი, დაადგინოს შემდგომი სწავლის საჭიროება.

ღირებულებები - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის ფარგლებში, ფინანსების მოდულის (კონცენტრაცია) ძირითადი ღირებულება გამოიხატება იმ ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიებაში, რომელიც აუცილებელია დარგის განვითარებისათვის.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	სათემის რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 72 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	<i>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	<i>ინგლისური ენა I (Elementary A1)</i>	ENGL B 001	6	<i>65</i>	<i>85</i>	6								წინაპირობის გარეშე
2.	<i>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</i>	ENGL B 002	6	<i>65</i>	<i>85</i>		6							ENGL B 001
3.	<i>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</i>	ENGL B 003	6	<i>65</i>	<i>85</i>			6						ENGL B 002
ბ)	<i>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</i> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	<i>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</i>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	<i>65</i>	<i>85</i>	6								წინაპირობის გარეშე
2.	<i>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</i>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	<i>65</i>	<i>85</i>		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<i>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</i>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	<i>65</i>	<i>85</i>			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
დარგობრივი ინგლისური ენა (ეკონომიკა და ბიზნესი)														
4	<i>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ეკონომიკა და ბიზნესი)</i>	ENGL B 016 GERM B 016 FREN B 016 RUSS B 016	3	<i>35</i>	<i>40</i>				3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013

5.	მიკროეკონომიკის პრინციპები	ECON B 101	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე
6.	მაკროეკონომიკის პრინციპები	ECON B 102	6	65	85		6						ECON B 101
7.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის I	MATH B145	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე
8.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის II	MATH B146	6	65	85		6						MATH B145
9.	საოფისე ტექნოლოგიები	COMP B 130	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე
10.	ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	PSYC B 129	6	65	85		6						წინაპირობის გარეშე
11.	ალბათობის თეორია	MATH B110	3	35	40			3					MATH B145
12.	აკადემიური წერა	ACAD B 101	3	35	40		3						წინაპირობის გარეშე
13.	ბიზნესის საფუძვლები	BUSS B101	6	65	85	6							წინაპირობის გარეშე
14.	ბიზნესის ორგანიზაცია	BUSS B102	3	35	40			3					BUSS B101

ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 69 კრედიტი

1.	მენეჯმენტის საფუძვლები	BUSS B103	6	65	85			6					წინაპირობის გარეშე	
2.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	BUSS B104	3	35	40					3			BUSS B103	
3.	მარკეტინგის საფუძვლები	BUSS B105	6	65	85			6					ECON, B 101	
4.	საერთაშორისო მარკეტინგი	BUSS B106	3	35	40							3	BUSS B105	
5.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	BUSS B107	6	65	85			6					წინაპირობის გარეშე	
6.	ფინანსური აღრიცხვა	BUSS B108	6	65	85				6				BUSS B107	
7.	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში I	BUSS B109	3	35	40				3				MATH B145	
8.	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში II	BUSS B110	6	65	85					6			MATH B110	
9.	საგადასახადო საქმე	BUSS B111	6	65	85					6			ECONB 102, BUSS B114	
10.	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	BUSS B114	3	35	40			3					ECON B 101, ECON B 102	
11.	კორპორაციული ფინანსები	BUSS B131	6	65	85				6				BUSS B114, BUSS B107	
12.	სამეწარმეო სამართალი	BUSS B112	3	35	40							3	წინაპირობის გარეშე	
13.	პროფესიული პრაქტიკა	BUSS B140	6	105	45								6	I-VII სემეტრის სასწავლო კურსები
14.	საბაკალავრო ნაშრომი	BUSS B150	6	35	115								6	I-VII სემეტრის სასწავლო კურსები

ძირითადი სპეციალობის (major) არჩევითი მოდულები - 30 კრედიტი
(სტუდენტი ირჩევს ერთერთ მოდულს)

I. მოდული (კონცენტრაცია) - საბუღალტრო აღრიცხვა										6	12	12		
1.	მმართველობითი აღრიცხვა	BUSS B115	6	65	85					6				BUSS B108
2.	ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	BUSS B116	6	65	85						6			BUSS B107
3.	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ	BUSS B117	6	65	85						6			BUSS B107

	ბანკებში													
4.	აუდიტის საფუძვლები	BUSS B118	6	65	85							6		BUSS B107
5.	ფინანსური ანგარიშგება	BUSS B119	3	35	40							3		BUSS B108
6.	ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები	BUSS B151	3	35	40							3		BUSS B108
II. მოდული (კონცენტრაცია) - მარკეტინგი										6	12	12		
1.	მარკეტინგული კვლევის პრინციპები	BUSS B120	6	65	85						6			BUSS B105
2.	მომხმარებლის ქცევის პრინციპები	BUSS B121	6	65	85							6		BUSS B105
3.	სარეკლამო საქმე	BUSS B122	6	65	85							6		BUSS B105
4.	მარკეტინგული არხები	BUSS B123	6	65	85								6	BUSS B105
5.	საზოგადოებასთან ურთიერთობა ბიზნესში	BUSS B124	6	65	85								6	BUSS B105
III. მოდული (კონცენტრაცია) - მენეჯმენტი										6	12	12		
1.	ოპერაციული მენეჯმენტი	BUSS B127	6	65	85						6			BUSS B103
2.	პროექტების მენეჯმენტი	BUSS B126	6	65	85							6		BUSS B103
3.	ბიზნესის ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	BUSS B128	6	65	85							6		BUSS B103
4.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	BUSS B125	6	65	85								6	BUSS B103
5.	საინვესტიციო მენეჯმენტი	BUSS B129	6	65	85								6	BUSS B103
IV. მოდული (კონცენტრაცია) - ფინანსები										6	12	12		
1.	ფინანსური მართვა	BUSS B113	6	65	85						6			BUSS B131, BUSS B108
2.	ფინანსური მენეჯმენტის მათემატიკური მეთოდები	BUSS B133	6	65	85							6		MATH B146
3.	საბანკო საქმე	BUSS B130	6	65	85							6		BUSS B114
4.	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	BUSS B117	6	65	85								6	BUSS B107
5.	სადაზღვევო საქმე	BUSS B132	6	65	85								6	BUSS B114
თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)			9									3	3	3
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)			60						12	12	12	12	12	
ს უ ლ - 240 კრედიტი						30	30	30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (minor) პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

(სხვა ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისათვის, რომელთა სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით პროგრამას)

პროგრამის დასახელება - დამატებითი (minor) პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება
(არაეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის:

- ❖ სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
- ❖ არჩევითი კურსები - 18 კრედიტი

ხანგრძლივობა – 5 სემესტრი, სემესტრში – 12 კრედიტი.

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი (გარდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა), რომლის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით პროგრამას.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (minor) პროგრამის მიზანია, ძირითად სპეციალობასთან ერთად სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრს მისცეს თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები ბიზნესის მიმართულებით, დაეხმაროს მათ ახალი პროფესიის შეძენაში, ხელი შეუწყოს კარიერულ წინსვლაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - დამატებითი (minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების (მაკროეკონომიკის პრინციპები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა) გავლით მიღებული თეორიული სპეციალიზებული ცოდნით სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს შეუძლიათ გაიაზრონ და გააცნობიერონ ბიზნეს-პროცესების მართვისთვის აუცილებელი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები. ამასთან, კურიკულუმით გათვალისწინებული არჩევითი დისციპლინების დაუფლებით მათ შეიძინეს ფართო ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს აღნიშნული, დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით შეუძლიათ ბიზნეს საქმიანობაში არსებული პრობლემების გააზრება და შემოქმედებითად გადაწყვეტა, წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით პრაქტიკული ხასიათის საქმიანობის განხორციელება. გამომუშავებული აქვთ ბიზნეს-საქმიანობაში მიმდინარე პროცესების მართვისთვის საჭირო ცალკეული უნარები. მათ შორის: პროცესების იდენტიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და ა.შ.

დასკვნის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების დასრულების შედეგად სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს შეუძლიათ ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი ცალკეული მონაცემების შეგროვება და მათი განმარტება. ამასთან, ბიზნეს-მონაცემების ანალიზისათვის სტანდარტული მეთოდების გამოყენება. არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი, ზოგადი დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი მიიღოს მონაწილეობა ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების წერილობითი ანგარიშების მომზადებაში, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.

სწავლის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი შეაფასოს მიღებული ცოდნა და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება.

ღირებულებები - ბიზნეს-ურთიერთობებში სტუდენტი ხელმძღვანელობს მაღალი ზნეობრივ-მორალური ნორმებით; გამოირჩევა მაღალი სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობით; გადაწყვეტილების მიღებისას მისი ქმედებები ეფუძნება ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას და მისი წრაფვის ამ ფასეულობების დამკვიდრებაში საზოგადოებაში.

დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა არაეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი														
1.	მიკროეკონომიკის პრინციპები	ECON B101	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	ბიზნესის საფუძვლები	BUSS B101	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
3.	მენეჯმენტის საფუძვლები	BUSS B103	6	65	85					6				წინაპირობის გარეშე
4.	მარკეტინგის საფუძვლები	BUSS B105	6	65	85					6				ECON B101
5.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	BUSS B107	6	65	85						6			წინაპირობის გარეშე
6.	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	BUSS B114	3	35	40						3			წინაპირობის გარეშე
7.	სამეწარმეო სამართალი	BUSS B112	3	35	40						3			წინაპირობის გარეშე
8.	ფინანსური აღრიცხვა	BUSS B108	6	65	85							6		BUSS B107
არჩევითი კურსები - 18 კრედიტი														
სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად														
1.	ბუღალტრული აღრიცხვა კომერციულ ბანკებში	BUSS B117	6	65	85									BUSS B107
2.	მმართველობითი აღრიცხვა	BUSS B115	6	65	85									BUSS B107
3.	ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	BUSS B116	6	65	85									BUSS B107
4.	კორპორაციული ფინანსები	BUSS B131	6	65	85									BUSS B114
5.	ფინანსური ანგარიშგება	BUSS B119	3	35	40									BUSS B108
6.	სარეკლამო საქმე	BUSS B122	6	65	85									BUSS B105
7.	ბიზნესის ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	BUSS B128	6	65	85									BUSS B103
8.	სადაზღვევო საქმე	BUSS B132	6	65	85									BUSS B114
9.	საბანკო საქმე	BUSS B130	6	65	85									BUSS B114
10.	ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები	BUSS B151	3	35	40									BUSS B108
სულ - 60 კრედიტი														
									12	12	12	12	12	

დამატებითი (minor) პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

(ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისათვის)

პროგრამის დასახელება - დამატებითი (minor) პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება
(ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის:

- ❖ სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი
- ❖ არჩევითი კურსები - 18 კრედიტი

ხანგრძლივობა – 5 სემესტრი, სემესტრში – 12 კრედიტი.

სწავლების ენა - ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი

პროგრამის მიზანი

ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის დამატებითი (minor) პროგრამის მიზანია, ძირითად სპეციალობასთან ერთად ბაკალავრს მისცეს თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები ბიზნესის მიმართულებით, დაეხმაროს ახალი პროფესიის შექმნაში, ხელი შეუწყოს კარიერულ წინსვლაში.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - ეკონომიკის ბაკალავრებმა დამატებითი (minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების გავლით მიიღეს სპეციალიზებული თეორიული ცოდნა და გააცნობიერეს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობები ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ სფეროებში, როგორცაა: მენეჯმენტის საფუძვლები, საბანკო საქმე, მარკეტინგის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, სადაზღვევო საქმე. ბაკალავრები ცოდნის განმტკიცებას აღწევენ კურიკულუმით გათვალისწინებული არჩევითი კურსების გავლით. სავალდებულო და არჩევითი კურსების გავლის შედეგად მათ გაცნობიერებული აქვთ ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრს აღნიშნული, დამატებითი (minor) პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით შეუძლია ბიზნეს საქმიანობაში არსებული აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გააზრება, წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საქმიანობის განხორციელება, გამომუშავებული აქვს ბიზნეს-საქმიანობაში მიმდინარე პროცესების მართვისთვის საჭირო ისეთი ძირითადი უნარები, როგორცაა: პროცესების იდენტიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და ა.შ.

დასკვნის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების დასრულების შედეგად ეკონომიკის ბაკალავრს შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების შეგროვება და განმარტება. ამასთან, ბიზნეს-მონაცემების ანალიზისათვის სტანდარტული მეთოდების გამოყენება. არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი, შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადასცეს ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ საკითხებზე, ასევე მოამზადოს წერილობითი ანგარიშები, საჭიროების შემთხვევაში კი, გააკეთოს ზეპირი განმარტებები ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცესებზე, როგორც ქართულ და ინგლისურ ენებზე სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სწავლის უნარი - დამატებითი (minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი შეაფასოს მიღებული ცოდნა და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი ცვალებად და გაუთვალისწინებელ გარემოში, განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება.

ღირებულებები - ბიზნეს-ურთიერთობებში სტუდენტი ხელმძღვანელობს მაღალი ზნეობრივ-მორალური ნორმებით; გამოირჩევა მაღალი სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობით; გადაწყვეტილების მიღებისას მისი ქმედებები ეფუძნება ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას და მისი წარაფვის ამ ფასეულობების დამკვიდრებაში საზოგადოებაში.

დამატებითი (minor) პროგრამის სტრუქტურა ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი														
1.	მენეჯმენტის საფუძვლები	BUSS B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2	მარკეტინგის საფუძვლები	BUSS B105	6	65	85				6					ECON B 101
2	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	BUSS B114	3	35	40					3				წინაპირობის გარეშე
3	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	BUSS B104	3	35	40					3				BUSS B103
5.	საბანკო საქმე	BUSS 130	6	65	85					6				BUSS B114
6.	ფინანსური აღრიცხვა	BUSS B108	6	65	85						6			წინაპირობის გარეშე
7.	სადაზღვევო საქმე	BUSS B132	6	65	85						6			BUSS B114,
8.	კორპორაციული ფინანსები	BUSS B131	6	65	85							6		BUSS B114
არჩევითი კურსები - 18 კრედიტი												6	6+6	
სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად														
1.	საზოგადოებასთან ურთიერთობები	BUSS B124	6	65	85									BUSS B105
2.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	BUSS B125	6	65	85									BUSS B103
3.	ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	BUSS B116	6	65	85									BUSS B108
4.	ოპერაციული მენეჯმენტი	BUSS B127	6	65	85									BUSS B103

5.	ფინანსური ანგარიშგება	BUSS B119	3	35	40									BUSS B108
6.	სარეკლამო საქმე	BUSS B122	6	65	85									BUSS B105
7.	ბიზნესის ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება	BUSS B128	6	65	85									BUSS B103
8.	ბულალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები	BUSS B151	3	35	40									BUSS B108
სულ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	